შავი ზღვის სრუტეების მნიშვნელობა თურქეთის რეგიონულ და საერთაშორისო პოლიტიკაში (მონტრეს კონვენციის გათვალისწინებით)

DOI: https://doi.org/10.52340/splogos.2025.02.14

მაია კაპანაძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
maiakappanadze@gmail.com
ORCID iD: https://orcid.org/0000-0002-7460-5374
ნინო კოპალიანი
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი
kopalianin9@gmail.com
ORCID iD: https://orcid.org/0000-0002-0203-9641

აბსტრაქტი

თურქეთი შავი ზღვის სრუტეებს ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ჯერ კიდევ რესპუბლიკად გამოცხადებამდე ეს ქვეყანა ცდილობდა აღნიშნულ სრუტეებზე სუვერენიტეტის მოპოვებას, რაც გარკვეულწილად მოახერხა ლოზანის კონფერენციით. თურქეთმა შავი ზღვის სრუტეებზე სუვერენიტეტი განიმტკიცა მონტრეს კონვენციით, რომლის ძირითადი პირობებიც დღემდე მოქმედებს. თურქეთის პოზიციების განმტკიცება სრუტეებზე მიუღებელი იყო საბჭოთა კავშირისათვის, რის გამოც, მისი მხრიდან ადგილი ჰქონდა მონტრეს კონვენციის გადასინჯვის მცდელობებს. მიუხედავად ამისა, თურქეთმა შეძლო მიღწეული შედეგების შენარჩუნება. შავი ზღვის სრუტეები, რომელსაც ამ ქვეყნის ხელისუფლება ,,თურქეთის სრუტეებად" მოიხსენიებს, ცივი ომის დასრულების შემდეგაც კვლავ თურქეთის გავლენის ქვეშ დარჩა, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შავიზღვისპირა ქვეყნების რიცხვი გაიზარდა.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის პერიოდში თურქეთმა, მონტრეს კონვენციის დებულებების საფუძველზე, უარი განაცხადა ამერიკული სამხედრო ხომალდების შავ ზღვაში შემოსვლაზე, რადგან მათი წყალწყვა კონვენციით დადგენილ ტონაჟის ლიმიტს აჭარბებდა. ეს ფაქტი ნათლად მიუთითებს მის გავლენას სრუტეებზე. რუსეთ-უკრაინის ომის პირობებში თურქეთი კვლავ ახერხებს თავისი პოზიციების შენარჩუნებას სრუტეებზე და ამით ხაზს უსვამს თუ რამდენად მნიშვნელოვანია ისინი (,,თურქეთის სრუტეები") ამ ქვეყნისათვის. იგი აქცენტს

აკეთებს მონტრეს კონვენციის დაცვის აუცილებლობაზე როგორც შავი ზღვის, ასევე არაშავიზღვისპირა ქვეყნებისათვის. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თურქეთის ხელისუფლება ცდილობს ბოსფორისა და დარდანელის სახელწოდებად დამკვიდრდეს ,,თურქეთის სრუტეები", რაც მიუთითებს მათ უდიდეს მნიშვნელობაზე თურქეთის, როგორც რეგიონულ, ისე საერთაშორისო პოლიტიკაში.

საკვანძო სიტყვები: თურქეთი, მონტრე, კონვენცია, პოლიტიკა, რეგიონი.

The Significance of the Black Sea Straits in Turkey's Regional and International Politics (Considering the Montreux Convention)

Maia Kapanadze
Associate Professor,
Caucasus International University
maiakappanadze@gmail.com
ORCID iD: https://orcid.org/ 0000-0002-7460-5374

Nino Kopaliani
PhD in Political Science
kopalianin9@gmail.com
ORCID iD: https://orcid.org/**0000-0002-0203-9641**

Abstract

Turkey has always paid great importance to the Black Sea Straits. Even before its establishment as a republic, the country sought to gain sovereignty over these straits, which it largely achieved with the Treaty of Lausanne. Turkey particularly strengthened its position regarding the Black Sea Straits with the Montreux Convention, the core provisions of which remain in effect today. The Soviet Union found Turkey's strengthened control over the straits unacceptable and attempted to revise the Montreux Convention. However, Turkey successfully preserved its achievements. Even after the Cold War, the Black Sea Straits, which the Turkish government refers to as the "Turkish Straits," largely remained under Turkey's influence, despite an increase in the number of Black Sea littoral states following the dissolution of the Soviet Union.

Turkey's influence over the Black Sea Straits was evident during the 2008 Russia-Georgia war when it denied the U.S. permission for vessels exceeding the tonnage limits set by the

Montreux Convention to enter the Black Sea. In the context of the ongoing Russia-Ukraine war, Turkey continues to maintain its strong position over the straits, underscoring their critical importance to the country.

Turkey emphasizes the necessity of upholding the Montreux Convention for both Black Sea littoral states and non-Black Sea countries alike. It's also worth noting that the Turkish government actively seeks to establish "Turkish Straits" as the official designation for the Bosphorus and Dardanelles, further highlighting their immense significance in Turkey's regional and international policy.

Keywords: Turkey, Montreux, Convention, Politics, Region.

შავი ზღვის სრუტეების საკითხს თურქეთისთვის ყოველთვის განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა. იგი განხილვის საგანი იყო სევრის კონგრესზეც (1920) და ლოზანის კონფერენციაზეც (1922-1923). სევრის ხელშეკრულებით შავი ზღვის სრუტეები და კონსტანტინოპოლი (სტამბული) რუსეთის გავლენის სფეროდ მოიაზრებოდა, მაგრამ რუსეთი პირველი მსოფლიო ომიდან გამოვიდა და დასახელებული ქვეყანა და სრუტეებიც საერთაშორისო კონტროლს დაექვემდებარა.[205] მათი დემილიტარიზაციის შემდეგ ყველა სახელმწიფოს მიეცა შესაძლებლობა, საჭიროების შემთხვევაში, ოსმალეთის ნებართვის გარეშე ესარგებლათ სრუტეებით. ფაქტია, რომ ეს კაბალური შეთანხმება არ წარმოადგენდა თურქული დიპლომატიის გამარჯვებას. მიუხედავად ხელმოწერისა, სევრის ხელშეკრულების რატიფიცირება არ მომხდარა, რადგან იმ დროისთვის ომით გადაღლილ არცერთ ევროპულ სახელმწიფოს-არც იტალიას, არც ინგლისსა და არც საფრანგეთს ხელშეკრულების პუნქტების შესრულებაზე არ უფიქრია. გარდა ამისა, ხელშეკრულების პირობებს დიდი მღელვარება მოჰყვა და სულთნის მთავრობა იძულებული გახდა მის შესრულებაზე უარი ეთქვა. ასე, რომ სევრის ხელშეკრულებას იურდიული ძალა არ შეუძენია.

1922 წელს მოწვეული ლოზანის კონფერენცია, რომელიც საბოლოოდ 1923 წელს დასრულდა, თურქული დიპლომატიის დიდ გამარჯვებას წარმოადგენდა. ამ კონფერენციაზე განხილულ იქნა სრუტეების საკითხი, რის შესახებაც მხარეებს გაუჭირდათ შეთანხმების მიღწევა.

[205] კილაძე ს, სევრის ხელშეკრულება-,,დიდი სომხეთის“ კონტურები, თურქეთის დიდი უკმაყოფილება და ისტორიული დოკუმენტის მნიშვნელობა საქართველოსთვის, https://www.ambebi.ge/article/247599-sevris-xelshekruleba-didi-somxetis-konturebi/

საბჭოთა რუსეთის განცხადებით, არანაირი გადაწყვეტილება სრუტეების სტატუსთან დაკავშირებით არ იქნებოდა ლეგიტიმური თუ რუსეთი არ იქნებოდა ჩართული. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი გამოიწვევდა ახალ კონფლიქტებს. რუსეთის გეგმა იყო, რომ შავი ზღვის სრუტეეები უნდა დახურულიყო სამხედრო გემებისთვის - ომისა და მშვიდობის დროს. ამასთან, თურქეთს უნდა დაეცვა სრუტეები. რადიკალურად განსხვავებული გეგმა ჰქონდა ბრიტანეთს, რომელიც ამტკიცებდა, რომ შავი ზღვის სრუტეები ღია უნდა ყოფილიყო ყველა ქვეყნის გემისთვის, როგორც ომიანობის, მშვიდობიანობის ჟამსაც. ასევე უნდა მომხდარიყო მათი დემილიტარიზაცია. თურქეთის პროექტი კი აღიარებდა ყველა ქვეყნის სავაჭრო გემების თავისუფალ მიმოსვლას სრუტეებში და ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვა/აღიარებას.

ახალი კონვენციის თანახმად, სრუტეებზე მმართველობა გადაეცა "სრუტეების საერთაშორისო კომისიის სამმართველოს". ეს გადაწყვეტილება განაპირობებდა მასზე ანტანტის სახელმწიფოების გავლენისა და კონტროლის დამყარებას. კერძოდ, თურქეთის გაფრთხილების გარეშე, ნებისმიერ გემს, განურჩევლად ტონაჟისა, შეეძლო სრუტით სარგებლობა, ამასთანავე, თურქეთს ეკრძალებოდა შესაბამისი ტერიტორიის სამხედრო ძალებით გამაგრება. აღნიშნული დებულებები მნიშვნელოვნად ლახავდა თურქეთის სუვერენიტეტს და უგულებელყოფდა როგორც საბჭოთა რუსეთის, ისე შავი ზღვისპირა სხვა ქვეყნების ინტერესებს, რის გამოც რუსეთმა კონვენციის რატიფიცირება არ მოახდინა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ამ შეთანხმების IV მუხლი, რომელიც ადგენდა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეეების დემილიტარიზაციას.[206] ასეთ პირობებში სტამბული დაუცველი რჩებოდა.

რადგან პირველმა მსოფლიო ომმა ვერ გადაჭრა ევროპაში არსებული პრობლემები და ყველა ქვეყანა ახალი მსოფლიო ომის მოლოდინში იყო, თურქეთს უსაფრთხოების მეტი გარანტია ესაჭიროებოდა. ამგვარ ვითარებაში, 1935 წელს თურქეთმა მოითხოვა ახალი კონფერენციის მოწვევა და სრუტეებთან დაკავშირებით ნავიგაციის პირობების გადახედვა. 1936 წელს შვეიცარიის ქალაქ მონტრეში გაფორმებული ხელშეკრულებით შეიცვალა ლოზანის კონვენციით დამყარებული რეჟიმი სრუტეებზე და ჩამოყალიბდა ახალი, მონტრეს კონვენციით დადგენილი სტატუსი, რამაც თურქეთის პოლიტიკური გავლენა რეგიონში კიდევ უფრო გააძლიერა.

[206] Turkish straits crisis, https://en.wikipedia.org/wiki/Turkish_straits_crisis

კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ შემდეგი სახელმწიფოები: თურქეთი, საბჭოთა კავშირი, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, იაპონია, ბულგარეთი, ავსტრალია, იუგოსლავია, რუმინეთი და საბერძნეთი. მოლაპარაკებების დროს სამი ძირითადი მიმართულება გამოიკვეთა: ბრიტანული მხარე მხარს უჭერდა უკვე არსებული პირობების შენარჩუნებას, რაც გულისხმობდა სრუტეებზე საერთაშორისო კომისიის კონტროლსა და გემების თავისუფალ გატარებას. თურქეთის მიზანი იყო მხარეების მხრიდან იმის აღიარება, რომ სრუტეებს ოფიციალური ანკარა გააკონტროლებდა: საბჭოთა კავშირს კი უნდოდა ბოსფორსა და დარდანელზე აბსოლუტურად თავისუფალი გადაადგილების რეჟიმის დამყარება. ოფიციალური მოსკოვის პოზიცია მიუღებელი იყო, როგორც ბრიტანეთის, ასევე საფრანგეთისათვის. ისინი ფიქრობდნენ, რომ საბჭოთა ფლოტი საფრთხეს შეუქმნიდა თავისუფალ სავაჭრო ურთიერთობებს დასავლეთსა და ინდოეთს, ეგვიპტესა და აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის. [207]

საბოლოოდ, მოახლოებული მეორე მსოფლიო ომის გათვალისწინებით და თურქეთის გერმანია-იტალიის მხარეს გადასვლის პრევენციის მიზნით, დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა დათმეს საკუთარი პოზიციები თურქეთის სასარგებლოდ. ამავდროულად, საბჭოთა კავშირმა მოახერხა კონვენციაში შესწორების შეტანა, რითაც განსხვავებული უფლებები მიენიჭა შავი ზღვისპირა და არაშავი ზღვისპირა სახელმწიფოებს. 1936 წლის 20 ივლისს ოფიციალურად გაფორმებული მონტრეს კონვენციით დადასტურდა ანკარის სუვერენიტეტი ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე, რამაც თურქეთს შავ ზღვაზე გემების მიმოსვლის გაკონტროლების შესაძლებლობა მიანიჭა.

მონტრეს კონვენციის ძირითადი მუხლები ასე გამოიყურება: სავაჭრო გემებს მშვიდობიან პერიოდში სტუტეებზე თავისუფალი მიმოსვლის უფლება მიენიჭათ. რაც შეეხება სამხედრო ხომალდებს, ამ კუთხით საქმე სხვაგვარადაა. ომის ან ნებისმიერი აგრესიის შემთხვევაში თურქეთს აქვს უფლება გადაკეტოს სრუტეები ნებისმიერი ტიპის სამხედრო გემებისათვის. აგრეთვე, თურქეთს მიენიჭა უფლებამოსილება უარი განაცხადოს იმ ქვეყნის გემების გატარებაზე შავ ზღვაში, რომელთანაც ომში იმყოფება.[208]

აღსანიშნავია, რომ შავი ზღვისპირა და არა შავი ზღვისპირა ქვეყნები განსხვავებული უფლებებით სარგებლობენ სრუტეებთან მიმართებაში: შავი ზღვისპირა ქვეყნები ვალდებულნი არიან სამხედრო გემების გატარებისათვის 8 დღით ადრე აცნობონ

[207] BatiaShvili, Z, ,,The Montreux convention and its importance for Georgia'', Tbilisi, 2021, p, 97-99
[208] BatiaShvili, Z. ,,The Montreux convention and its importance for Georgia'', Tbilisi, 2021, p, 105

თურქეთს, ხოლო არა შავი ზღვისპირა ქვეყნები - 15 დღით ადრე. ასევე მათთვის დადგენილია კონკრეტული ტონაჟი, რაც გულისხმობს შემდეგს - კონკრეტული ქვეყნის კუთვნილი სამხედრო გემის ტონაჟი არ უნდა აღემატებოდეს 10 000 ტონას, რაც გამორიცხავს დიდი გემების სრუტეებში შეყვანის ალბათობას. ამასთან, შავ ზღვაში გემის დაყოვნების ვადა განსაზღვრულია 21 დღით.[209] მონტრეს კონვენციით, შავი ზღვისპირა ქვეყნებს უფლება აქვთ მსუბუქი და მსხვილი სამხედრო ხომალდები, ნაღმოსანი გემებისა და წყალქვეშა ნავების შავ ზღვაში შეყვანის. კონვენცია შეეხო საჰაერო მიმოსვლასაც, რომლის მიხედვითაც სამოქალაქო თვითმფრინავებს შეუძლიათ შავ და ხმელთაშუა ზღვებს შორის მოძრაობა იმ საჰაერო გზებით, რომელსაც თურქეთის მთავრობა განსაზღვრავს.

ამრიგად, მონტრეს კონვენციით, თურქეთის პოლიტიკური როლი რეგიონში თანდათან გაიზარდა. თავდაპირველად მუდროსის ზავმა (1918) იმპერია ნანგრევებად აქცია. მოგვიანებით სევრის ხელშეკრულებამ ოსმალეთს ყველაზე დამამცირებელი პირობები შესთავაზა. ლოზანის ხელშეკრულებით თურქეთის საზღვრები დადგინდა და ქვეყანამ სრუტეებზე გარკვეული უფლებების მოპოვება შეძლო. მონტრეს კონვენციით კი თურქეთმა სრული სუვერენიტეტი მოიპოვა -მისთვის ყველაზე მნიშვნელოვან და სადავო შავი ზღვის სრუტეებზე. ასე ნაბი-ნაბიჯ მიუყვებოდა იგი ძლიერ რეგიონულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების გზას.

აღსანიშნავია, რომ მონტრეს კონვენციით დადგენილი სრუტეების სტატუსი არაერთხელ გახდა შემდგომი განხილვის საგანი. განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომით დამყარებულმა გეოპოლიტიკურმა ვითარებამ განაპირობა ქვეყნების მხრიდან კონვენციის გადახედვის აუცილებლობა. ამ პროცესში საბჭოთა კავშირი დიდი აქტიურობით გამოირჩეოდა, რომელიც მოითხოვდა კონვენციაში სრუტეებთან დაკავშირებული ცვლილებების შეტანას. მისი მიზანი იყო ბოსფორსა და დარდანელზე საერთო კონტროლის დამყარება. ეს მოთხოვნა ცალსახად მიუთითებდა შავ ზღვაში სსრკ-ის გავლენის გაძლიერებაზე, რაც თურქეთის უსაფრთხოებისთვის ერთგვარ გამოწვევას წარმოადგენდა. საბჭოთა კავშირმა შავ ზღვაში გაზარდა თავისი ფლოტი, რის გამოც თურქეთს დახმარების თხოვნა დასჭირა აშშ-ისთვის. საკითხში აშშ-ს ჩარევით სსრკ-მ უარი განაცხადა შავი ზღვის სრუტეების საკითხთან დაკავშირებით ახალი კონფერენციის მოწვევაზე და რეგიონიდან გაიყვანა სამხედრო ძალები. ამდენად, სრუტეების საკითხი კვლავ თურქეთის სასარგებლოდ გადაწყდა.[210]

[209] სვანიძე, მ. ,,თურქეთის ისტორია 1923-2000წწ.'', თბილისი, 2005, gv, 235

[210] Turkish reply to the USSR on the revision of the Montreux Convention, University of California Press, 1951, p, 68

სრუტეების საკითხი 1945 წლის პოტსდამის კონფერენციაზეც გაჟღერდა, სადაც საბჭოთა კავშირმა მიმართა თურქეთს, რომ შავ ზღვაში გემების მიმოსვლა გამხდარიყო თურქეთთან ერთად შავი ზღვისპირა ქვეყნების კომპეტენციაც. ამასთანავე, საბჭოთა კავშირსა და თურქეთს ერთობლივი რესურსებით უნდა მოეხდინათ სრუტეების დაცვა. ყველა ეს მოთხოვნა მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურებოდა - თურქეთი არ ყოფილიყო სრუტეების უპირობო მფლობელი და საბჭოთა კავშირს ჰქონოდა შესაძლებლობა საკუთარი გავლენების დამყარებისა სრუტეებზე. რა თქმა უნდა, ეს მოთხოვნაც თურქეთმა უარყო. [211]

მონტრეს კონვენცია გაფორმდა 1936 წელს. ბუნებრივია, მან ასახა 30-იან წლებში არსებული სახელმწიფოების ინტერესები და რეგიონული გამოწვევები. თუმცა, შემდეგ, გეოპოლიტიკური სურათი სრულად შეიცვალა, როგორც რეგიონში, ასევე მსოფლიოში. კონვენციის შემდეგ, ერთმანეთის მიყოლებით განვითარდა ისეთი მნიშვნელოვანი პროცესები, როგორიცაა: მეორე მსოფლიო ომი, ცივი ომი, საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის დაშლა, რომლებიც კონვენციის ხელმომწერი ქვეყნები იყვნენ, შავი ზღვის რეგიონში ახალი სახელმწიფოები ჩამოყალიბდა: საქართველო, უკრაინა და რუსეთის ფედერაცია.

რუსეთმა ჯერ აფხაზეთის ოკუპაცია, შემდეგ ყირიმის ანექსია, ბოლოს კი სრულმასშტაბიანი ომის წარმოება დაიწყო უკრაინაში. ამასთან, განვითარდა სამხედრო ინდუსტრია და სახელმწიფოებმა დაიწყეს ბევრად დიდი ტონაჟის სამხედრო გემების წარმოება, ვიდრე მონტრეს კონვენციითა დასაშვები, მათი შესვლა სრუტეებში და სხვა მრავალი ფაქტორი. ამის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ, რამდენად პასუხობს დღეს კონვენცია თანამედროვე გამოწვევებსა და საჭიროებებს რეგიონში. [212]

ბევრი ექსპერტის შეფასებით, კონვენცია მეტად მოძველებულია და მას აღარ შეუძლია დაარეგულიროს შავის ზღვის სრუტეების პოლიტიკა. ამიტომ, აქტუალურია კონვენციის მუხლების გადახედვის დღის წესრიგის დაყენება, რაც საკმაოდ რთული საკითხია. მართალია რეჯეფ თაიფ ერდოღანი ბოსფორსა და დარდანელს ერთი სახელწოდებით - თურქეთის სრუტეებით მოიხსენიებს, თუმცა აქ ჩართულნი არიან როგორც თურქეთი, ასევე შავი ზღვისპირა ქვეყნები, განსაკუთრებით რუსეთი და ნატო. ყველა აქტორს განსხვავებული ინტერესი ამოძრავებს, რომელთა შეჯერებაც რთული ამოცანაა.

[211] Turkish reply to the USSR on the revision of the Montreux Convention, University of California Press, 1951, p, 71
[212] BatiaShvili, Z. ,,The Montreux convention and its importance for Georgia'', Tbilisi, 2021, p, 43

დიდი ხნის მანძილზე ანკარაში არ არსებობდა ერთიანი აზრი იმასთან დაკავშირებით, თუ რა შედეგს მიიღებდნენ კონვენციის გადახედვით, ვინაიდან რეგიონში წარმოდგენილი აქტორების ინტერესებს შესაძლოა შეელახათ თურქეთის ინტერესებიც.[213] თურქეთს აქვს გეგმა შავ და მარმარილოს ზღვებზე გავლენების გასაფართოებლად, რომელიც Kanal Istanbul-ის პროექტის განხორციელებას გულისხმობს.[214] აღნიშნული ინფრასტრუქტურული პროექტით, თურქეთს შეეძლება ბოსფორის პარალელურად გაიყვანოს ხელოვნური არხი, რაც თურქეთს მეტ დამოუკიდებლობას მიანიჭებს შავ ზღვაზე გასასვლელი გზების კონტროლისათვის. ეს არის მონტრეს კონვენციისთვის გვერდის ავლა და დამატებითი ფინანსური სარგებლის მიღების მცდელობა.[215] თუმცა რამდენად განხორციელებადია ერდოღანის ეს ამბიციური ჩანაფიქრი , სხვა საკითხია.

პასუხობს თუ არა მონტრეს კონვენცია არსებულ გეოპოლიტიკურ ვითარებას, პასუხი არაერთგვაროვანია. ერთის მხრივ, არსებობს ისეთი გარემოებები, რომლებიც კონვენციის არაეფექტურობაზე მიუთითებს. მაგალითად, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში აშშ-მ გადაწყვიტა საქართველოსთვის ორი ჰოსპიტალური გემის გამოგზავნა, რადგან მათი ტონაჟი აღემატებოდა 69 000 ტონას, ანკარამ უარი განაცხადა გემების შავ ზღვაში შემოყვანაზე. თურქეთმა, მიუხედავად ვაშინგტონის ზეწოლისა, არ დაარღვია კონვენცია და სანაცვდოლ სამი პატარა ზომის ამერიკული გემის შემოყვანის ბრძანება გასცა, რომელსაც ჰუმანიტარული დახმარება უნდა გაეწია ომში მყოფი საქართველოსთვის. რუსეთ-უკრაინის ომის კონტექსტში მონტრეს კონვენციის ფაქტორი არანაკლებ მნიშვნელოვანია. კონვენცია ზღუდავს არაშავიზღვისპირა ქვეყნების სამხედრო გემების შემოსვლას ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებში და მათთვის გარკვეულ პირობებს აწესებს. ამ გარემოებამ ხელი შეუშალა ნატოს წევრ სახელმწიფოებს, განსაკუთრებით აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს, აქტიურად შესულიყვნენ შავ ზღვაში და საზღვაო გზით დახმარება გაეწიათ უკრაინისთვის.

მართალია, ამ კონკრეტულ შემთხვევაში სრუტეების ჩაკეტვა რუსეთსაც ზღუდავდა, თუმცა განსხვავებულ მოცემულობაში, ვინაიდან რუსეთი შავიზღვისპირა ქვეყანაა, ის უფრო მეტი უპირატესობით სარგებლობს, ვიდრე, მაგალითად, ნატოს წევრი ქვეყნები. ეს ფაქტორი, გარკვეულწილად, რეგიონში რუსეთის გავლენის გაძლიერებასაც უწყობს ხელს. ამ შემთხვევაში სრუტეების ჩაკეტვის უკან დგას

[213] BatiaShvili, Z, The Montreux convention and its importance for Georgia'', Tbilisi, 2021, p, 54
[214] კოპალიანი ნ,თურქეთის რეგიონული ინტერესები, სტამბოლის არხი, საქართველო - ირანის პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობებისადმი მიძღვნილი მეექვსე საერთაშორისო კონფერენციის შრომები, თბილისი, 2022.
[215] Ogutcu, M. Revising the Montreux convention'', 2018, p, 77

თურქეთის ინტერესი, დაიცვას სრული ნეიტრალიტეტი მიმდინარე ომში და არ წარმოადგენდეს არც ერთ მხარეს, არამედ იყოს მედიატორი. [216]

ამასთან, მნიშვნელოვანი პრობლემაა ისიც, რომ კონვენცია არ ითვალისწინებს ჰიბრიდულ საფრთხეებს, დრონებს, წყალქვეშა უპილოტო აპარატებს, რომლებიც სულ უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობენ თანამედროვე სამხედრო მოქმედებებში.

სირთულეების მიუხედავად, მონტრეს კონვენცია შავი ზღვის სტრატეგიული ბალანსის შესანარჩუნებლად არსებითი და გადამწყვეტია. იგი კონტროლს უწევს შავ ზღვაში უცხო ქვეყნის ძალების გადაადგილებას, რაც აუმჯობესებს უსაფრთხოების გარემოს, მაგრამ რუსეთის, როგორც შავი ზღვისპირა ქვეყნის, შეზღუდვები მონტრეს კონვენციით გაცილებით რბილია, რაც ხელსაყრელ პირობას ქმნის რეგიონში მისი გაძლიერებისათვის. შექმნილი გეოპოლიტიკური მოცემულობა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ კონვენცია ძირითადად მიესადაგება 1936 წლის მსოფლიო წესრიგს, რაც იწვევს გარკვეულ შეუთავსებლობას თანამედროვე პერიოდთან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კილაძე ს. სევრის ხელშეკრულება-,,დიდი სომხეთის“ კონტურები, თურქეთის დიდი უკმაყოფილება და ისტორიული დოკუმენტის მნიშვნელობა საქართველოსთვის, https://www.ambebi.ge/article/247599-sevris-xelshekruleba-didi-somxetis-konturebi/
2. კოპალიანი ნ. თურქეთის რეგიონული ინტერესები, სტამბოლის არხი, საქართველო - ირანის პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობებისადმი მიძღვნილი მეექვსე საერთაშორისო კონფერენციის შრომები, თბილისი, 2022.
3. სვანიძე მ. ,,თურქეთის ისტორია 1923-2000წწ.'',თბილისი, 2005
4. Batiashvili Z. ,,The Montreux convention and its importance for Georgia'', Tbilisi, 2021
5. Nevitt, M. The Russia-ukraine conflict, the black sea, and the Montreux convention'', 2022
6. Ogutcu M. Revising the Montreux convention'', 2018
7. Turkish reply to the USSR on the revision of the Montreux Convention, University of California Press, 1951
8. Turkish straits crisis, https://en.wikipedia.org/wiki/Turkish_straits_crisis

[216] Nevitt, M. ,The Russia-ukraine conflict, the black sea, and the Montreux convention'', 2022, p, 81